

„შუშანიკის წამების“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის

(„ერთგული“ // „გუელი“ // „გული“)

„წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ - ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის მეტად საინტერესო ნიმუში, რომლის შესახებაც არაერთი ფილოლოგიურ-ისტორიული თუ სახისმეტყველებითი ხასიათის ნაშრომი დაწერილა, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ის ბეჭდური სახით პირველად გამოქვეყნდა მიხეილ საბინინის „საქართველოს სამოთხეში“. ამ გამოცემის მიხედვით, ერთ-ერთ ეპიზოდს – სპარსეთიდან დაბრუნებული პიტიახშის ქართლში შემოსვლას, იაკობ ხუცესი ამგვარად წარმოგვიდგენს: *„და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რადთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რადთა მათ გამო, ვითარცა ერთგული სოფლად შემოვიდეს“* [საბინინი, 1882: 182].¹

„წამების“ ტექსტის მეორე გამოცემა მოცემული ეპიზოდის ასეთ წაკითხვას გვთავაზობს: *„...ზრახვა-ყო ... რადთა მათ გამო, ვითარცა გუელი სოფლად შევიდეს“* [იაკობ ხუცესი, 1917: 2].

აკადემიურად დადგენილ ტექსტთაგან (არ ვგულისხმობთ მ. საბინინის გამოცემას)² „მარტვილობის“ სამი გამოცემის მიხედვით ვერსიებს „გუელი“ (იაკობ ხუცესი, 1917; ძველი... 2005; ქართული... I, 2007), დანარჩენი სამი გამოცემის მიხედვით კი „ერთგული“ მიემართება (იაკობ ცურტაველი, 1938; იაკობ ცურტაველი, 1978; ძველი... I, 1963).

მრავალფეროვნება შეინიშნება სასკოლო გამოცემებშიც. ზოგიერთში შენარჩუნებულია „ერთგული“ (იაკობ ხუცესი, 1986; ძველი... 2002; გიგინეიშვილი, 2012; მუზაშვილი, 2012; ცხადაია, 2012), ზოგიერთგან კი - „გუელი“ (იაკობ ხუცესი, 1999;).

მოხმობილი ეპიზოდის განხილვისას დგება საკითხი, რამდენად მისაღებია შუშანიკის მარტვილობის ამსახველ ტექსტში „ერთგულის“ შენარჩუნება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ძეგლის უძველეს ხელნაწერსა (A-95, 353v.) და „წამების“

¹ სამწუხაროდ, გამომცემლისაგან არ სახელდება, თუ კონკრეტულად რომელი ხელნაწერი / ხელნაწერები გამოიყენა მან წყაროდ (ი. აბულაძის მითითებით, H – 2121 უნდა გამოეყენებინა).

² საბინინი წერს, თუ რამ უბიძგა მას კრებულის შესადგენად: *„საქართულოს ეკლესიის დავრდომილებამ და სრულიად დამხოზილებამ მისმან, მაიძულა დიდის გულმოდგინებით დაბეჭდვაჲ ამ წიგნისა... წიგნისა ამის მეორე, არცა დაბეჭდილი, არცა ხელნაწერი არა სადა იპოვების, ესე ვრცელი და სრული, ვითარ ესე წიგნი“* [საბინინი, 1882: 1].

ბოლო, საგულისხმო გამოცემებშიც „გუელის“ ვარიანტი არის მიღებული (ძველი... 2005: 8; ქართული... I, 2007: 158).

„ერთგული“ // „გუელი“ ფორმებისა და, საზოგადოდ, ამ ფრაზის ირგვლივ არსებული პრობლემის შესახებ მსჯელობას ვხვდებით ჯერ კიდევ 1978 წელს - „მარტვილობის“ დაწერიდან 1500 წლისთავის აღსანიშნავ დღეებში.

პროფ. ალექსანდრე ჭინჭარაული გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ წერს: „თავისი „სოფლისა“ (ქვეყნისა), ოჯახისა და ხალხის გამყიდველი არავისი ერთგული არ არის. ეს მან [ვარსკენმა] თვითონ ყველაზე უკეთ იცის და არ თამაშობს ერთგულებას, რამეთუ გრძნობს, რომ იგი სძულთ, სძაგთ... [ჭინჭარაული, 1978: 3]. მეცნიერი დასძენს, რომ „გუელს“ გრაფიკულად განსხვავებული „ერთგულიდან“ ვერ მივიღებდით. ამასთან, საკუთარი აზრის განსამტკიცებლად მიუთითებს, რომ „ოთხთავში“ ცხრამეტჯერაა ნათქვამი „ორგული“, ხოლო „ერთგული“ – არც ერთხელ. ა. ჭინჭარაულის მითითებით, „ფსალმუნში“ „ერთგულება“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება. მკვლევარი ფიქრობს, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერის პერიოდში სიტყვა „ერთგული“ არა ჩანს. ეს უკანასკნელი მაშინ შემოვიდა ენაში, როცა „ორგული“ გაჩნდა, მანამდე კი, მის ნაცვლად, „სარწმუნო“ გამოიყენებოდა.

ამდენად, ა. ჭინჭარაულის მიხედვით, „ზემომოტანილ კონტექსტში სიტყვა „ერთგული“ უადგილოა“ [ჭინჭარაული, 1978: 3].

მეცნიერის საგაზეთო სტატიას, ვრცელი არგუმენტირებული მსჯელობით, 1979 წელს გამოეხმაურა პროფ. კორნელი დანელია. იგი თავის სტატიაში - „მაინც „ერთგული“, აკრიტიკებს „შუშანიკის წამების“ ერთი ადგილის ახლებურად წაკითხვას. მისი მითითებით, „თუ ფრაზაში „ერთგული“-ს ნაცვლად „გუელი“ იქნება ნახმარი, თხრობის სტილი დაირღვევა და მწერალი იაკობი მსაჯულის როლში აღმოჩნდება“ [დანელია, 1979: 116]. კ. დანელია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გველივით გამოჩენა ან გველური შესვლა ქვეყანაში ლოგიკურად გამორიცხავს დიდი ამაღლის თანხლების საჭიროებას. ხოლო იმის დასასაბუთებლად, რომ ფრაზაში „გუელი“ უნდა შენარჩუნდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ მიეცემა იმ ფაქტს, რომ მოღწეულ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველს „გუელი“ აქვს დაცული, გვიანდელს კი - „ერთგული“. მეცნიერს, რამდენიმე მაგალითის განხილვის საფუძველზე, გამოაქვს დასკვნა, რომ გვიანდელ ხელნაწერებში შემონახულია გაცილებით ადრინდელი ფორმები, ვიდრე A-95-ში და ვერ უარვყოფთ, თითქოს „შუშანიკის წამების“ დაწერის ჟამს არ არსებულობდა ეს სიტყვა. ამის საილუსტრაციოდ კ. დანელიას მაგალითები მოჰყავს პავლეს ეპისტოლეთა ძველი რედაქციიდან (1 ტიმ. 1:2; 1 ტიტ. 1:4), ევთალეს „სტიქომეტრიიდან“ (გალ. თ. 9); ბიბლიის ცნობილი, 978 წლის ოშკური (ათონური) ვერსიიდან და „ფსალმუნთა“

წიგნის ძველი რედაქციებიდან (IV მეფ. 22:7; ფს. 54:14), ასევე „სინური მრავალთავიდან“[იქვე].

მეცნიერს „ერთგულის“ ფარდი სახელები დამეზნილი და მოხმობილი აქვს უცხოენოვანი წყაროებიდან. იგი გვიჩვენებს, რომ ბერძნულში *gnēsios* ნიშნავს „მოკეთეს“, „ნამდვილს“, „მართალს“, „ერთგულს“; სომხურში *sireli* – „საყვარელს“; სირიულში – *šarīrā* – „ნამდვილს“, „მართალს“, „ერთგულს“. მას ამ სიტყვათა განხილვის საჭიროება აუცილებლად მიუჩნევია არა მხოლოდ იმის საჩვენებლად, თუ რა ნიუანსები შეიძლება ჰქონდეს „ერთგულ“ სიტყვას განსხვავებულ კონტექსტში, არამედ უფრო იმისათვის, რათა წარმოეჩინა, რომ ეს რთული სიტყვა ქართული წარმოებისაა და არა ლექსიკური კალკი რომელიმე უცხოენოვან წყაროში გამოყენებული ფარდი ერთგულისა.

ამდენად, პროფ. კ. დანელიას თვალსაზრისით, „ერთგული“ მყარი, ერთმნიშვნელობიანი სემანტიკის სიტყვა არ უნდა იყოს. ის ქრონოლოგიურად „ორგული“ სიტყვის ხნისაა და ორივეს არსებობა რეალობაა V საუკუნისთვის. ამის საფუძველზე კი მეცნიერი შენიშნავს, რომ „ერთგული“ სიტყვა „გუელით“ შეცვლას არ საჭიროებს. „წამებაში“ მისი არსებობა გამართლებულია როგორც კონტექსტით, ისე ისტორიული რეალიებით (დანელია, 1979: 120).

„მარტვილობაში“ დახატული ვარსქენის სახის გველის ბუნებასთან მსგავსება და ხელნაწერთა მნიშვნელობის დეფინიცია ქცეულა იმის თქმის მიზეზად, რასაც ე. ჭელიძე „წამების“ ტექსტის ახალ გამოცემაში შენიშვნის სახით მიუთითებს: „ტექსტის მეცნიერულ პუბლიკაციებში დამკვიდრებული „ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს“ მცდარია, რადგან ამგვარი წაკითხვა დასტურდება გაცილებით ნაკლებდირებულ *CEFGHIKL* ნუსხებში, მაშინ როცა, ერთი მხრივ, უძველეს *A* ნუსხაში ნაცვლად „ერთგულისა“ გარკვევით იკითხება „გუელი“, მეორე მხრივ კი არსებითად ამავე წაკითხვას უჭერს მხარს გვიანდელ ნუსხათაგან მნიშვნელოვანი *BD* მანუსკრიპტები, სადაც იგივე „გუელი“ გვაქვს (გვიანდელი დაწერილობით), რაც მკვლევართაგან წაკითხულია, როგორც „გული“...[ქართული... I, 2007: 200]. მეცნიერი მიიჩნევს, რომ „ძეგლის სახისმეტყველებითი პლასტი სწორედ ამგვარი წაკითხვით იკვეთება, რადგან მკაფიო მინიშნება ეძლევა მოღალატე ვარსქენის გველისებრ შემოძრომას ქართლის ქვეყანაში“...[იქვე].³

ასეთია ტექსტის გამოცემათა სახესხვაობების სურათი და „წამების“ განსახილველ ფრაზაში „ერთგული“ // „გუელი“ ვარიანტების წაკითხვა-შენარჩუნების შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი.

³ საინტერესოა ის, რომ სხვა შემთხვევაში, საკუთარი მოსაზრების გასამართლებლად მეცნიერი იყენებს არა A-95 ხელნაწერის მონაცემებს, არამედ „ნაკლებადდირებულ *CEFGHIKL* ნუსხებს“[ქართული... I, 2007: 201].

საკითხი რომ არც ისე მარტივია, ამაზე ზემოაღნიშნულ გამოცემათა მრავალფეროვნება და სიტყვის დაზუსტების აუცილებლობაზე მეცნიერთა შორის გამართული პოლემიკაც უნდა მიგვანიშნებდეს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დასმული პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

ჩვენამდე მოღწეული თერთმეტი ხელნაწერიდან განსახილველი ფრაზის ერთ შემთხვევაში გვაქვს „გუელი“ („რ^ა მათ გამო ვ^ა გუელი სოფლად შემოვიდეს“ [A-95, 353v.]), მეორეში - „გული“ („რ^ა მ^თ გ^{მო} ვ^ა გული ს^ფლად შემოვიდეს“ [A-130, 100r.]), მესამეგან კი გადამწერს დაქარაგმებული სიტყვა - გ^{ლი} მოუცია („რ^ა მ^თ გ^{მო} ვ^ა გ^{ლი} ს^ფლად შემოვიდეს“ [A-176, 99r.]).⁴ განვიხილოთ თითოეული.

ა. ჭინჭარაულს მიაჩნია, რომ „გული“ უნდა მიგვეღო „გუელის“ მცდარი ამოკითხვის შედეგად“ [ჭინჭარაული, 1978: 3].

კ. დანელიას მოსაზრებით, გადაწერისას გამოტოვებული „ერთ“ დამახსოვრების აქტისას დაშვებული შეცდომითაა გამოწვეული (იგი გადაწერის პროცესის ოთხ თანმიმდევრულ აქტზე საუბრობს: 1. გადასაწერი ტექსტის წაკითხვა; 2. წაკითხული ფრაზის დამახსოვრება; 3. შინაგანი კარნახი (გამეორება); 4. თავად წერა).

ა. ჭინჭარაულის მოსაზრების მსგავსად, ე. ჭელიძის თვალსაზრისით, „გული“ „გუელის“ დამახინჯებაა და არა „ერთგულისა“ [ქართული... I, 2007: 200].

ვფიქრობთ, რომ „გული“ კონტექსტისთვის უადგილოა და ის სხვა სიტყვის არასწორად წაკითხვის შედეგად უნდა იყოს მიღებული. თუმცა, რომელი სიტყვის, რთული სათქმელია, ვინაიდან პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, A-130 ხელნაწერში დაცულ ტექსტს არც რომელიმე ასო-ნიშანი აკლია და არც სადმე მოიძებნება კვალი გადაშლა-ჩამატებისა. გადამწერს მექანიკურად გამორჩენია ან „ე“ გრაფემა (გუელი > გული), ან სიტყვის დასაწყისი „ერთ“ (ერთგული > გული).

რაც შეეხება დანარჩენ ორ ვარიანტს.

ვარსკენის ხუცესისეული დახასიათებისას, მართალია, ერთადერთ, ისიც უძველეს ხელნაწერს „გუელი“ შემოუნახავს, დანარჩენ რვას კი „ერთგულად“ მოუხსენებია იგი, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ტექსტის სხვადასხვა ვარიანტში დადასტურებულ სახელთა („ერთგული // „გუელი“) სახისმეტყველებითი დეფინიცია და ფრაზის კონტექსტისეული გააზრება.

⁴ მარტვილობის აკადემიურად დადგენილ და გამოცემულ ტექსტთაგან, სამეცნიერო აპარატის სიზუსტის თვალსაზრისით, მისაღებია 1978 წლის გამოცემა: *ერთგული / გუელი A, გული B; გ ლი D* [იაკობ ცურტაველი, 1978: 139]. ამგვარი სურათი გვაქვს 1963 წლის ვარიანტში: *ერთგული / გუელი A, გული BD* [ძველი... I, 1963: 12].

საკითხის ირგვლივ დასმულ შეკითხვას, თუ რომელი სიტყვა უნდა მიემართებოდეს სპარსეთიდან დაბრუნებულ პიტიახშს (გველი თუ ერთგული), ერთი შეხედვით მარტივად უნდა გაეცეს პასუხი. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ აგიოგრაფიული მწერლობის კანონისა და ავტორის მიზანდასახულობის მიხედვით, წარმოდგენელია რაიმე დადებითი ეპითეტით დახასიათდეს ვარსკენი, მოსალოდნელია, ხუცესს მისთვის „გუელ“ ეწოდებინა („რაფთა მათ გამო, ვითარცა გუელი, სოფლად შემოვიდეს“). აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ, ამ ვარიანტის თანახმად, მოცემული ეპიზოდი (გველის სოფლად შემოსვლა) მკითხველში ბიბლიის სამოთხისეული ამბების ერთგვარ რემინისცენციას იწვევს. პიტიახშის „სოფლად შემოსვლა“ ბიბლიური „გუელის“ - ბოროტების სოფლად შემოსვლის ტოლფასია. ეს არის მინიშნება იმ დიდი საფრთხის მოახლოების შესახებ, რაც ეწევა არამხოლოდ პირადად შუმანიკსა და მის ოჯახს, არამედ მთელ საერისთავოს.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზითაც - ვარსკენის გველისებრი (ცბიერი, მზაკვრული) ხასიათით მყარდება და ასაბუთებენ კიდევ მეცნიერები თავიანთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ტექსტში „ერთგულის“ ნაცვლად „გუელი“ უნდა იყოს მოსალოდნელი. მათ მიერ მოხმობილ არგუმენტებს ცალსახად გავიზიარებდით, რომ არა რამდენიმე გარემოება:

1. კ. დანელიას მითითებით, A-95-თან შედარებით, სიძველის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად სხვაობს მოგვიანო ხანის ათივე ხელნაწერი. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს შემდეგი მაგალითები (ჯერ A-95-ის წაკითხვაა, შემდგომ გვიანდელი ხელნაწერებისა): *მეტად/ჯეკმა; ბოროტებდა/ხისტოოდა (ეკიცხოდა); მსწრაფლ/ადრე-ადრე; ვინმე შევიდეს/შე-ვინმე-ვიდეს; გამოჰყვანდა/გამო-ლა-ჰყვანდა...* [დანელია, 1979: 118]. მეცნიერს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ათი ხელნაწერის წაკითხვანი არ უნდა იყოს გვიანდელი შეტანილი. „ჯეკმა“, „ხისტოოდა“ („ეკიცხოდა“), „ადრე-ადრე“ და ტმესური ფორმები: „შე-ვინმე-ვიდეს“, „გამო-ლა-ჰყვანდა“ უძველესი, პირვანდელი ტექსტიდან უნდა იღებდეს სათავეს (დანელია, 1979: 118).
2. ამ საკითხზე მსჯელობას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ც. ქურციკიძემ. მეცნიერის მითითებით, „რამდენიმე შემთხვევაში A ნუსხას უპირისპირდება და უფრო ძველ და მართებულ წაკითხვას იძლევა დანარჩენი ათი ხელნაწერი“: A-95: „თქუა მსახურისა მიმართ მისისა“; დანარჩენ ათ ხელნაწერში: „ჰრქუა მსახურსა მისსა“; „მივიღე მცირედ ღვინომ და პური“ // „მოვიღე მცირედ ღვინომ და პური“; „დაადგინა მცველნი მას ზედა“ // „დაადგინა მცველნი მის ზედა“; „იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს“ // „იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი“ [ქურციკიძე, 1978: 27].

3. მეცნიერები - ელ. გიუნაშვილი და ზ. სარჯველაძე, თავიანთ ნაშრომში - „შუშანიკის წამების“ ტექსტის ისტორიისათვის“, ხაზგასმით შენიშნავენ, რომ პარხლის მრავალთავში დაცული ტექსტი და ის ტექსტი, რომელიც XVIII-XIX საუკუნის ხელნაწერებშია დაცული, ორ სხვადასხვა - ა და ბ რედაქციას ქმნიან. სტატიაში დეტალურადაა ნაჩვენები ყოველი სხვაობა და აღნიშნულია, რომ ა და ბ რედაქციას შორის 411 კითხვა-სახვაობა ვლინდება. დასასრულ, მკვლევარნი შენიშნავენ, რომ „ბ რედაქცია (ე.ი. ის ტექსტი, რომელიც გვიანდელ ხელნაწერებშია დაცული) უკვე იყო ჩამოყალიბებული XI საუკუნეში [გიუნაშვილი... 1980: 133].

ამგვარია თხზულების ტექსტის ფრაზებისა თუ ცალკეული ლექსიკური ერთეულის ენობრივი განხილვის შედეგები.

რაც შეეხება კონტექსტის გათვალისწინებას, -

- 1) ა. ჭინჭარაული წერს: ვარსქენი არ თამაშობს ერთგულებას, რამეთუ გრძნობს, რომ იგი სძულთ, სძაგთ...[ჭინჭარაული, 1978: 3].

2) კ. დანელიას მიხედვით (მიუხედავდ იმისა, რომ მეცნიერი „ერთგული“ ფორმის შესწორებას არ იზიარებს), „თუ ფრაზაში „ერთგული“-ს ნაცვლად „გული“ იქნება ნახმარი, თხრობის სტილი დაირღვევა და მწერალი იაკობი მსაჯულის როლში აღმოჩნდება“[დანელია, 1979: 116].

- 3) ე. ჭელიძე აღნიშნავს: „მეგლის სახისმეტყველებითი პლასტი სწორედ ამგვარი („გული“ ფორმის) წაკითხვით იკვეთება“[ქართული... I, 2007: 200].

გამოთქმულ მოსაზრებებთან მიმართებით, ვფიქრობთ, ერთგვარი დაზუსტების შეტანა ნათელს მოჰფენს საკითხს, კერძოდ,

- 1) ჩვენი აზრით, ვარსქენი სწორედაც რომ თამაშობს ერთგულებას და ეს ტექსტში არაერთგან ჩანს (გავიხსენოთ მისი შეხვედრა ხუცესებთან).

2) იაკობი მწერალია, აგიოგრაფი ავტორი. ეს კი იმთავითვე გულისხმობს იმას, რომ მოვლენათა მისეული აღწერა თავისუფალი ვერ იქნება სუბიექტური დამოკიდებულებისაგან, მით უფრო რომ ცურტაველი ვარსქენისაგან წამებული დედოფლის სულიერი მამა, მოძღვარია. თუკი დავუშვებთ, რომ ხუცესი არ არის „მსაჯული“ (კ. დანელია), საფიქრებელია, არ მოეხმოდ მას არც „ერთგული“ და არც „გული“. მარტივად აღენიშნა, რომ ვარსქენი დაბრუნდა ქართლში.

თუმცა, ხუცესი მკითხველს უთვალისწინებს, კაცს - ქვეყნისა და ერის, დედოფლისა და მეუღლის წინაშე ერთგულების ფიცის გამტეხ ერისმთავარს, რომელიც იმავე ერისა და მეუღლე-დედოფლისაგან მისადმი ერთგულებასა და

მორჩილებას ითხოვს. სწორედ რომ მამხილებლის, „მსაჯულის“ (კ. დანელია) როლში გვევლინება იაკობი, როდესაც ვარსქენზე, როგორც „უკეთურზე“, „უგუნურზე“, „უბადრუკზე“, „სამგზის საწყალობელსა“ და „მგელზე“ მიგვითითებს.

3) თუკი აგიოგრაფიული მწერლობის პრინციპებიდან გამომდინარე წარმოდგენელია, ხუცესს „ერთგული“ ეწოდებინა ვარსქენისთვის და, შესაბამისად, „ტექსტის მეცნიერულ პუბლიკაციებში დამკვიდრებული „ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს“ მცდარია“ [ქართული... I, 2007: 200], როგორ გავიგოთ პიტიახშისაგან ხმობილი ხუცესების მისვლის ეპიზოდში ვარსქენზე ნათქვამი სიტყვები: „და სიხარულით შეგვმთხვევს და გურქუა ჩუენ: „აწ ნურას მერიდებით მე და ნუცაღა გძგ“ [ძველი... I, 1963: 14]; მით უფრო მეტ კითხვას აჩენს აღნიშნული ეპიზოდი, რამეთუ პროფ. ე. ჭელიძე ხუცესთა და პიტიახშის შეხვედრის სცენას ამ სახით წარმოგვიდგენს: „და სიყვარულით შეგვმთხვევს და თქუა: „აწ ნუ რად მერიდებით მე, ნუცაღა გძგ“ [ქართული... I, 2007: 162].⁵

მეცნიერის მსჯელობიდან გამომდინარე, თუკი გაუმართლებელია ვარსქენისათვის „ერთგულის“ წოდება, გაუმართლებლად მიგვაჩნია მის კაცთმოყვარეობაზე საუბარიც. მაშ, როგორ უნდა ავხსნათ ეს მომენტი: რატომ შეხვდა მოძღვართ პიტიახში სიხარულით // სიყვარულით?

რას უნდა მოასწავებდეს ის, რომ ვარსქენმა „თვითონ ყველაზე უკეთ იცის და არ თამაშობს ერთგულებას, რამეთუ გრძნობს, რომ იგი სძულთ, სძაგთ“ [ჭინჭარაული, 1978: 3].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერთა მსჯელობა გვიტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ მოღალატე პიტიახში მაინც სიყვარულით ხვდება ქრისტიან სასულიერო პირებს. გამოდის, ვარსქენი ხუცესებზე სულიერად აღმატებულია. მეტიც, მას მტრები უყვარს - სიყვარულით // სიხარულით ხვდება მოწინააღმდეგე ქრისტიან სასულიერო პირებს.

ამგვარი გაგებით, იაკობ ხუცესი - პიტიახშის კარის საპატიო პირი და განსწავლული მოძღვარი ბოროტებასთან ერთად, ანტიგმირის - ვარსქენის კეთილშობილურ სახესაც გვიხატავს.

ნაწარმოებზე მსჯელობისას მეცნიერი მ. გიგინეიშვილი არაფერს ამბობს „გუელის“ ვარიანტის შენარჩუნება-მიუღებლობაზე (და საზოგადოდ, ამ ორი ცნების ტექსტთან მიმართებაზე), თუმცა შენიშნავს შემდეგს: „იაკობი მოღალატეს არ

⁵ ტექსტის BCDEFGIKL ხელნაწერთა ვარიანტებში დადასტურებულია „სიყვარულით“ [ძველი... I, 1963: 14].

უწოდებს მას [ვარსკენს], მაგრამ გარკვეულ კონტექსტში მეტი ძალა აქვს „ერთგულს“ [გიგინეიშვილი, 2003: 683].

მართლაც, „ერთგული“ გაცილებით მეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე „გუელი“. ვფიქრობთ, პირველ სახელდებაში მეორეც მოიაზრება. „ერთგულება“, ერთგულებით შემოსვლა პიტიახშის ჩანაფიქრია, განზრახვა. ცხადია, აქ არ უნდა იგულისხმებოდეს მისი სინდისის ხმა და ერთგულების სახელით დანაშაულის გამოსყიდვა. ამგვარ „ერთგულებაში“ ერისმთავრის მზაკვრული (გველისმიერი) ბუნება ჩანს. მის მიერ სპარსეთში გაცემული, დათმობილი სარწმუნოებისა და მეფისათვის მიცემული სხვათა „მოქცევის“ აღთმის დადების შემდეგ, იაკობის მიერ ვარსკენის „ერთგულად“ სახელდებას ერთგვარი კონტრასტი შემოაქვს თხზულებაში. საფიქრებელია, რომ პიტიახშმა „ზრახვა-ყო“ არამხოლოდ ძემა, ერისა და მსახურთა ხლება, წინ მოგებება, არამედ „ზრახვა-ყო“ - განიზრახა ერთგულებისა და სიხარულის // სიყვარულის სახელს ამოფარება და ყოველივეს მარტივად, უბრძოლველად მიღება.

ერთგულება და სიხარული // სიყვარული ფანდია, ფარისევლობაა. ერისმთავარს უჯობს, მეფისათვის მიცემული პირობა მშვიდად, „ტკბილი სიტყვით“, „სიყვარულითა“ თუ „სიხარულით“, ოჯახური სკანდალისა და მითქმა-მოთქმის გარეშე შეასრულოს (ეს პრინციპი - ღვთის მცნების დამცველთა სიტყვიერი დაპირებითა და ლიქნით გადადრეკის სურვილი დამახასიათებელია აგიოგრაფიული მწერლობის ანტიგმირისათვის. ხოლო მას შემდეგ, რაც წინ აღუდგებიან მათ სულით უდრეკნი, მახვილით ცდილობენ დამორჩილებას).

ასე რომ, ვარსკენის ერთგულებაში მისი გველური ბუნება თავისთავად იგულისხმება. რომ არა კონტექსტი (ასევე სხვა ეპიზოდის - „და სიხარულით შეგვმთხვენა და გურქუა ჩვენ“ - მსგავსება), შესაძლოა, ფრაზის განხილვის პირველივე მცდელობაზე „გუელი“ ვარიანტის შენარჩუნების თვალსაზრისი გაგვეზიარებინა. თუმცა ერთია ამა თუ იმ სიტყვის ცალკეული მნიშვნელობა, მეორე - მისი განხილვა თავად ტექსტში, საგულისხმო ეპიზოდში. კონტექსტის მიხედვით, ვარსკენს არათუ ჯაბანივით შემოპარვა, არამედ მხნედ, ლაღად, ძველებური სიდიადითა და ძალმოსილებით, სპარსეთში მომხდარ ამბავთა ვითომდა უგულვებელყოფით შემოსვლა სურს.

ამდენად, ვფიქრობთ, „წამების“ გამოცემისას, ანგარიში უნდა გაეწიოს მეცნიერთა მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ გვიანდელ ხელნაწერებში დაცული ტექსტი ენობრივი თვალსაზრისით ადრინდელია. ხოლო „ერთგულის“ ფორმის უგულვებელსაყოფად არ უნდა კმაროდეს მარტოდენ იმაზე მინიშნება, რომ არ შეიძლება „ერთგული“ ეწოდოს მოძალადე ვარსკენ პიტიახშს (ქართული... I, 2007: 200). ასეთ დროს საჭიროა მეტი არგუმენტი, ვინაიდან, „წამების“ ერთ-ერთ

ეპიზოდში, როგორც ზემოთ წარმოვადგინეთ, აგიოგრაფი ვარსკენის „სიყვარულისუნარიანობაზე“ საუბრობს.

ამ სურათის მიხედვით წარმოგვიდგება ფსიქოლოგიური სიზუსტის დამცველი, ისტორიულ პირთათვის (როგორც პერსონაჟთათვის) სიცოცხლისუნარიანობის მიმნიჭებელი ძალის მქონე ავტორი. სწორედ მისი მწერლური ოსტატობა განაპირობებს იმას, რომ დროის მდინარეების მიუხედავად, ანტონ I-დან მოკიდებული დღემდე, კვლავაც არ ნელდება ინტერესი ამ ძეგლის მიმართ, რაც „მარტვილობის“ მნიშვნელოვნებასა და მაღალმხატვრულობაზე უნდა მეტყველებდეს.

ლიტერატურა:

1. აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტომი I, „ბაკმი“, თბილისი, 2011
2. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 1989
3. გიგინეიშვილი მ., იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, ნათელი ქრისტესი საქართველო, The Light of Christ Georgia, Свет Христов Грузии, წიგნი I, რედაქტორი: როინ მეტრეველი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ.: 675-684
4. გიუნაშვილი ე., სარჯველაძე ზ., „შუშანიკის წამების“ ტექსტის ისტორიისათვის, ჟ. „ცისკარი“, №8, 1980, გვ.: 131-134
5. დანელია კ., მაინც „ერთგული“, ჟ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №4, 1979, გვ.: 114 - 121
6. იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1938
7. იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1978
8. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ზურაბ სარჯველაძემ, კორნელი დანელიამ და ელგუჯა გიუნაშვილმა, „განათლება“, თბილისი, 1999
9. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზურაბ სარჯველაძემ, კორნელი დანელიამ და ელგუჯა გიუნაშვილმა, „განათლება“, თბილისი, 1986
10. იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, ს. რ. გორგაძის რედაქტორობით, ქართ. შ. წ.-კ. გამავრც. სახ. ქუთ. განყ. სტამბა, ქუთაისი, 1917

11. იაკობ ცურტაველი, წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1978
12. ლოპუხინი ა., ბიბლიის განმარტებანი, წიგნი I, გამომცემელი რედაქტორი: დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, თარგმნა: თინათინ მეტრეველმა, „მერმისი“, 2000
13. საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882
14. სირაძე რ., „ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული მწერლობისა, ჟ. „განთიადი“, №3, „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისი, 1989, გვ.: 235-259
15. ქართული ენა და ლიტერატურა, მოსწავლის წიგნი, X კლასი, ავტორები: თაია ცხადაია, დარეჯან კვანჭიანი, ნანა კუცია, თამარ ღონდაძე, ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ღონდაძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2012
16. ქართული ენა და ლიტერატურა 10, მოსწავლის წიგნი, ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე, ნინო შარაშენიძე, „დიოგენე“, თბილისი, 2012
17. ქართული ენა და ლიტერატურა, ძველი ქართული მწერლობა, X კლასის სახელმძღვანელო, ავტორ-შემდგენლები: მანანა გიგინეიშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი, ვახტანგ როდონაია, ტექსტებს ენობრივი მიმოხილვა და სავარჯიშოები დაურთო ავთანდილ არაბულმა, „სწავლანი“, თბილისი, 2012
18. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტომი I, თბილისი, გამომცემლობა „ბთი“, 2007
19. ქურციკიძე ც., „შუშანიკის წამების“ ტექსტის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟ. „მაცნე“ (ელს), №3, 1978, გვ.: 20-29
20. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V – X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ანთელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963
21. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, IX კლასი, შეადგინეს და კომენტარები დაურთეს მანანა გიგინეიშვილმა, ლაურა გრიგოლაშვილმა, ვახტანგ როდონაიამ, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2002
22. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, ძეგლები I, თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2005
23. ჭინჭარაული ა., „შუშანიკის წამების“ ლექსიკიდან, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №146, 12 დეკემბერი, 1978, გვ.: 3

წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის მიერ 2017 წლის 5 ოქტომბერს, მეცნიერებისა და ინოვაციების ფარგლებში ჩატარებული კონფერენციაზე - „ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში“ დაიბეჭდა ამავე კონფერენციის მასალებში, „ქართველოლოგი“, თბილისი, 2017, გვ.: 31-46